

თელრია.**On**.ge

მართვის მონმობის ტესტები



საიტის შესახებ


თეორია.On.ge უნიკალური პროექტია, სადაც მართვის მოწმობის აღების მსურველთათვის ყველანაირი ინფორმაცია ერთ ადგილზეა თავმოყრილი. არსებობის მეორე წელში, საიტმა მოახერხა და სრულად მოიცვა ყველა ადამიანი, ვინც ამჟამად თეორიული გამოცდისთვის ემზადება.

იმ დროს, როდესაც მომავალ მძღოლებში ახალი ბილეთებით გამონჭვეული გაურკვევლობა პიკს აღწევდა, თეორია.On.ge იყო ერთადერთი საიტი და წყარო ფეისბუქზე (ოფიციალურ წყაროებს შორისაც), სადაც გარკვეული ინფორმაციის მიღება შეიძლებოდა.

ჩვენმა გუნდმა საკუთარი ტექნიკური გამოცდილება საიტებისა და ინტერფეისების შექმნაში, პირველად მიუსადაგა ისეთ ტრივიალურ სფეროს, როგორც მართვის მოწმობის ტესტები იყო. შედეგად მივიღეთ პროდუქტი, რომელთან შედარებით, აქამდე არსებული ტესტირების საიტების სრული უმრავლესობა — სამოყვარულო ნამუშევრებია.

საიტის ფუნქციებს შორის, გამოირჩეულია:

- გამოცდის სიმულატორი, სრულად მიახლოებული რეალურთან
- ბილეთების სრული ბაზა, ყველა კატეგორიის მოწმობისთვის
- თემატურად დალაგებული ბილეთები
- ვარჯიში ცალკეულ თემებში, გამოცდის რეჟიმში
- პირადი ისტორიის და ცოდნის პროგრესის თვალის დევნება
- აქტივობის სტატისტიკა და ბენჩმარკინგი (რთული/მარტივი ბილეთები)
- მოწმობის კატეგორიების და საგზაო ნიშნების ცნობარი, გასაგებ ენაზე
- ავტოსკოლების კატალოგი რუკაზე



აუდიტორია



თეორია.On.ge-მ სწრაფად მოიპოვა ლოიალური აუდიტორიის დიდი ნაწილი, ვინც ასეთი პორტალის არსებობის შესახებ ინფორმაციას ბუნებრივად უზიარებდა საკუთარ წრეს.

საიტს ძალიან კონკრეტული, მკვეთრად გამოხატული ჯგუფის აუდიტორია ჰყავს. ეს არიან მომხმარებლები, რომლებიც ამჟამად ცდილობენ მართვის მოწმობის აღებას, ვისაც უკვე ყავთ ან ახლო მომავალში ეყოლებათ ავტომობილი და გაუჩნდებათ ამ ცხოვრებისეულ მოვლენასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოვალეობები.

ჩვენი საიტის აუდიტორიიდან:

- 55% ქალია, 45% — მამაკაცი
- 45% არის 18-24 წლის, ხოლო 32% — 25-35 წლის
- უმეტესობა საიტზე ატარებს საშუალოდ 23 წუთს
- ყოველ შემოსვლაზე კი ნახულობს მინიმუმ 7 გვერდს
- 31% საიტზე შემოდის პირდაპირ, მისამართის აკრეფით
- 100% აპირებს იყოს მომავალი მძღოლი

დემოგრაფიული სტატისტიკა შეიცავს საიტზე რეგისტრირებული მომხმარებლების, facebook-ის გვერდის აუდიტორიის და Google Display Network-ის მონაცემებს.



სრული დაფარვა

თეორია.On.ge არის ხელმისაწვდომი ყველგან და ყველასთვის. ახალ ტესტებზე გადასვლის პერიოდში, ავტოსკოლებს წლების წინ დამზადებული სავარჯიშო პროგრამული უზრუნველყოფა თავიდან უნდა დაემზადებინათ. ამიტომ, შეიქმნა უფასო პროგრამა ავტოსკოლებისთვის, რომელიც ათობით ავტოსკოლის კომპიუტერებში ჩაინერა და სკოლის მოსწავლეები ამ პროგრამის დახმარებით ახერხებენ ადგილზე, ინტერნეტის გარეშე მეცადინეობას.

სახლში დაბრუნებისას კი, ვარჯიშის გაგრძელება უკვე საიტზე ან მობილურ აპლიკაციაში შეუძლიათ.




სტატისტიკა



მართვის მონუმობის თეორიული გამოცდა მუდმივი თემაა — ამ პროცესის მონაწილეები, რამდენიმე კვირით უბრუნდებიან სტუდენტურ ცხოვრებას, აქტიურ მეცადინეობას და ნერვიულობას. მონუმობის აღების შესახებ გადამწყვეტილების მიღებიდან — გამოცდის ჩაბარებამდე, **თეორია.On.ge** მათი შეუცვლელი ინსტრუმენტია.

უკანასკნელი ერთი თვის სტატისტიკა:



Sessions
645,236

Users
115,595

Pageviews
5,036,381

Pages / Session
7.81

Avg. Session Duration
00:23:03

Bounce Rate
14.19%



მადლობა დაინტერესებისთვის

დამატებითი ინფორმაცია და რეკლამის პრაქტიკა: www.On.ge/ads

გასაუბრება ტელეფონით: +995 597 92 60 06 — იოსებ ადუიშვილი

ან ელფოსტით: ads@omedia.ge

თეორია.**On**.ge